თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის

ოქმი № 3

ქ. თერჯოლა 4. 10. 2022 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე გრიგოლ გიორგაძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გრიგოლ გიორგაძე, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. ლაშა გურგენიძე, 4. ელისო მურადაშვილი, 5. მანუჩარ ფანჩულიძე, 6. ნატალია ასათიანი, 7. თამარ ახვლედიანი, 8. რუსუდან კოვზირიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1 . ამირან ვერულაშვილი, 2. ომარი ჯიხვაშვილი, 3. რამინი რობაქიძე, 4. ივანე ჩუბინიძე

კომისიის შემადგენლობა: 12 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 8
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის 2021 წლისა და 2022 წლის 1 სექტემბრამდე გაწეული მუშაობის ანგარიში.

მომხს.: ი. ჩხეიძე

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის შვებულების შესახებ.

მომხს.: გ. გიორგაძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8 წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის დირექტორმა ირაკლი ჩხეიძემ კომისიის წევრებს გააცნო ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის 2021 წლისა და 2022 წლის 1 სექტემბრამდე გაწეული მუშაობის ანგარიში.

აზრი გამოთქვეს: ნინო ჩხიკვაძემ, მანუჩარ ფანჩულიძემ, რუსუდან კოვზირიძემ, ელისო მურადაშვილმა.

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის 2021 წლისა და 2022 წლის 1 სექტემბრამდე გაწეული მუშაობის ანგარიში და განსახილველად გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, გრიგოლ გიორგაძემ კომისიის წევრებს განუცხადა, რომ აპირებს შვებულებაში გასვლას მიმდინარე წლის 6 ოქტომბრიდან, 24 სამუშაო დღით. შვებულების პერიოდში აუცილებელია კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაევალოს კომისიის ნებისმიერ წევრს. როგორც კომისიის თავმჯდომარე კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას ავალებს კომისიის წევრს ლაშა გურგენიძეს.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

გადაწყვიტეს: საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახლგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობა დაეკისროს კომისიის წევრს ლაშა გურგენიძეს.

კომისიის თავმჯდომარე

გრიგოლ გიორგაძე